

ირან-ისრაელის კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობების
თეორიების ჭრილში

რუსუდან თენიეშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური თეორიების - ნეორეალიზმის და კონსტრუქტივიზმის - გამოყენებით გაანალიზოს ირანსა და ისრაელს შორის არსებული კონფლიქტი.

ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და დაფუძნებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდზე.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაპირისპირება ირანსა და ისრაელს შორის ძალთა ბალანსის ლოგიკით არის ნაკარნახევი, ისინი ცდილობენ რეგიონში ლიდერობა არ დაუთმონ ერთმანეთს და არც სხვას. ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთთან თანამშრომლობენ კიდევ.

მთავარი დაპირისპირება ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოდის, რადგან ამით ძალთა ბალანსი საბოლოოდ შეიცვლება რეგიონში. ისრაელი დაკარგავს ბირთვულ მონოპოლიას, ხოლო რეგიონი ბიპოლარული გახდება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ინტერესები თამაშობს გადამწყვეტ როლს კონფლიქტში, ხოლო იდენტობა დამატებითი ფაქტორია, რომელიც უფრო ამძაფრებს კონფლიქტს და რომელსაც, ორივე ქვეყანა იყენებს საკუთარი ეროვნული ინტერესების გასატარებლად.

საძიებო სიტყვები: სტრუქტურული რელიზმი, სოციალური კონსტრუქტივიზმი, ბირთვული პროგრამა, იდენტობა.

Abstract

The aim of this research is to analyze the conflict between Iran and Israel with the dominant theories of IR- neorealism and constructivism.

Methodologically the paper use qualitative research methods and is based on the method of case-study.

Analysis identified that the confrontation between Iran and Israel is determined by the logic of balance of power, they try to balance each other and the other state in the region. Because of, they sometimes cooperate with each other.

The main controversial issue is nuclear program of Iran, because it will finally change the balance of power in the region. Israel will lose nuclear monopoly and the region become bipolar.

In sum, the national interest plays a key role in the conflict, and the identity is the additional factor that escalate the conflict. Both countries use the identity for their own national interests.

Keywords: Structural realism, Social constructivism, The nuclear program, Identity.